პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 164 (3141) 24 1966 წ. აგვისტო. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

# წმიდათა წმიდა მოვალეობა

## მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის თაობაზე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სსრ კავშირის დაცვას, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას განიხილავენ, როგორც პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წმიდათა წმიდა მოვალეობას. ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დოსააფ-ის ნებაყოფლობით საზოგადოებაში ამ მიმართებით მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საკავშირო პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ დაავალა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტკავშირებს, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოებს, სპორტკლუბების გამგეობებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და დოსააფ-ს კომიტეტებთან ერთად გააუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მთელი მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში.

რეკომენდებულია რეგულარულად მოეწყოს ახალგაზრდობის მასობრივი საწყლოსნო და ქვეითი ლაშქრობები დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის საბრძოლო დიდების ადგილებში, თემატური საღამოები, ავტომოტოვადარბენები, სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა შეხვედრები დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, მხედართმთავრებთან, კინოფესტივალები; ხელი შეუწყონ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მიერ სამხედრო ცოდნის, ჩვევების დაუფლებას სამოქალაქო თავდაცვის საქმეში; მასობრივად მიიზიდონ ახალგაზრდობა დოსააფ-ის კლუბებისა და სპორტული სექციების სისტემატურ საქმიანობაში, ჩააბან ისინი შეჯიბრებებში.

ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სპორტტექნიკური კომპლექსის — „ემზადე სამშობლოს დასაცავად" — ნორმატივების ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბარება, წარმოებებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში შექმნან წვევამდელთა მოსამზადებელი პუნქტები, დოსააფ-ის კომიტეტებთან ერთად მოაწყონ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა შერჩევა და მომზადება, მიაღწიონ იმას, რომ ყოველმა ჭაბუკმა, რომელიც მზადაა საბჭოთა არმიაში სამსახურისთვის, ჩააბაროს ნორმატივი „ემზადე სამშობლოს დასაცავად", ჰქონდეს მას სპორტული თანრიგი. ■

## უკანასკნელი საათი...

◆ ჰამბურგი, 23 აგვისტო. ათლეტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. ამერიკელმა ბ. ტუმეიმ დააგროვა 7.990 ქულა. (100 მ — 10,4, 400 მ — 46,8, 1500 მ — 4.35,6, 110 მ თარჯრბენი — 14,5, სიმაღლეზე ხტომა — 190 სმ, სიგრძეზე ხტომა — 745 სმ, ჭოკით ხტომა — 420 სმ, ბირთვის კვრა — 14,25 მ, ბადროს ტყორცნა — 40,62 მ, შუბის ტყორცნა — 50,36 მ.

◆ ფოლსომი (აშშ), 23 აგვისტო. 16 წლის ამერიკელმა მოსწავლე გოგონამ ლ. მოდელმა 36 საათში შეუსვენებლივ გაცურა 106 კილომეტრი. ეს მოხდა ნატომის ტბაზე (კალიფორნია). უნდა ითქვას, რომ მოდელს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეფარა 160 კილომეტრი, მაგრამ ძალიან დაიქანცა და საწადელს ვერ მიაღწია, თუმცა, ეს შედეგიც არაოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე უკეთესია. იგი ეკუთვნოდა ამერიკელ ქიმიკოსს ტ. ერიქსონს და უდრიდა 96 კილომეტრს.

◆ რეიკიავიკი, 23 აგვისტო. ისლანდიის დედაქალაქში გაიმართა ფეხბურთში ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მატჩი. ნაკლებად ცნობილმა ადგილობრივმა კლუბმა „ვალიურმა" ფრედ — 1:1 ითამაშა ბელგიის „სტანდარდთან". საპასუხო შეხვედრა შედგება ლიეჟში.

◆ უტრეხტი, 23 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატზე ცურვაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა გ. პროზუმენშჩიკოვამ. მან ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში 1 ადგილი დაიკავა და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 2.40,8. ოქროს მედლები დაიმსახურეს ჩვენმა მოცურავეებმა 4 × 100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში.

◆ ადის-აბება, 23 აგვისტო. ფეხბურთში აფრიკის კონტინენტის თასის VI გათამაშება დაიწყება 1967 წლის დეკემბერში ეთიოპიის სტადიონებზე. ადგილობრივმა ნაკრებმა უკვე დაიწყო ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისთვის მზადება. ნაკრებს წვრთნის ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი მილოშევიჩი. ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად აქ მოიწვიეს სახელგანთქმული ბრაზილიური კლუბი „სანტოსი".

◆ რიო-დე-ჟანეირო, 23 აგვისტო. ინგლისის ჩემპიონატში მონაწილე ეროვნულ ნაკრებთა ხელმძღვანელებიდან სამშობლოში ყველაზე გვიან დაბრუნდა ბრაზილიის გუნდის მწვრთნელი ვ. ფეოლა. იგი რიო-დე-ჟანეიროში სხვისი გვარით ჩამოვიდა. „კამპინოს" აეროპორტში თვითმფრინავიდან გადმოსვლისას ფეოლა შავი სათვალით იყო „შენიღბული". მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მის დასაცავად გამზადებული იყო ეროვნული გვარდიის 22 ჯარისკაცი.

## გუშინ...

ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩი. ითამაშეს ადგილობრივმა „სპარტაკმა" და დონეცკის „შახტიორმა". გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს ხუსაინოვმა და ოსიანინმა.

## ჩვენი ქვეყანა

● ტალინი, 22 აგვისტო. ამ ქალაქის მახლობლად დამთავრდა სსრ კავშირის მოტოციკლისტთა XIX პირად-გუნდური პირველობა საგზაო-ციკლო-რკალურ რბოლაში, რომლის მთავარ გმირებად ესტონელები მოგვევლინენ. მათ „ოქროს" მდიდარი მოსავალი მოიმკეს 6 მედლის სახით. ქალთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ტალინელი ი. ფრეივალდი. ვაჟთა შორის ესტონელებმა გაიმარჯვეს 350 კბ სმ კლასის ეტლიანი მანქანებით, აგავე კლასის სპორტული მოტოციკლებითა და 750 კბ სმ კლასის ეტლიანი მანქანებით ასპარეზობაში. მასპინძლებს მეტოქეობა მხოლოდ მოსკოველებმა გაუწიეს. ცნობილმა სპორტსმენმა ნ. სევასტიანოვმა ოქროს მედალი მოიპოვა „350-ა" კლასის სარბოლო მანქანებით შეჯიბრებაში, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ა. ოლეინიკოვმა მოიგო 175-ანებით რბოლა. ყველაზე პატარა მანქანებით — 125-ანებით ყველას აჯობა ა. აბრამოვმა (რსფსრ). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ მოსკოველები.

● სუმი, 22 აგვისტო. ამ ქალაქის მახლობლად მდებარე აეროდრომზე დღეს დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სამვეულმფრენო სპორტში. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა როსტოველმა სპორტის ოსტატმა ი. გორიანსკიმ, რომელმაც მრავალჭიდში 890 ქულა დააგროვა 900 შესაძლებლიდან. მან 4 მედალი მიიღო. II ადგილზე გავიდა ა. ნოსოვი, ხოლო III — ვ. სახაროვი (ორივენი — სიზრანი). სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თასი გადაეცა რსფსრ-ს I გუნდს, რომელმაც ყველას აჯობა მრავალჭიდში.

## მსოფლიო გამოფენაზე... ფეხბურთიც

ოტავა, 22 აგვისტო. ფეხბურთელებს, რომლებმაც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში წარუმატებლად ითამაშეს, გაისად შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ამ უსიამოვნო გაკვეთილს მათთვის ფუჭად არ ჩაუვლია. მონრეალის მსოფლიო გამოფენის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს 1967 წლის მაის-ივნისში მოაწყონ საერთაშორისო საფეხბურთო ჩემპიონატი. მოწვევა გაეგზავნათ ინგლისის, სსრ კავშირის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის ნაკრებ გუნდებს. მეექვსე მონაწილე ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ იგი კანადის გუნდი ვერ იქნება, რადგან ჰოკეის სამშობლოში ფეხბურთი ნაკლებ პოპულარულია.

მატჩები გაიმართება მსოფლიო გამოფენის ტერიტორიაზე, სადაც აშენდება სტადიონი 25 ათასი მაყურებლისთვის.



## რკინიგზელთა შეჯიბრებები

◉

## ლენინგრადის-კიევის-ოდესის წინააღმდეგ... მცხეთა

„ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირად-გუნდური ასპარეზობა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში ლენინის ქალაქში გაიმართა. ამ ტურნირში პირველად მონაწილეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი, რომელიც ძირითადად მცხეთელი მწვრთნელის, სპორტის ოსტატ პ. მარეხაშვილის აღზრდილებით იყო დაკომპლექტებული. გუნდის ორი წევრი — ი. წოწკოლაური და ს. არეშოვი ჩემპიონები გახდნენ. ორადგილიანი კანოეთი მათ 500 და 1000 მეტრზე რბოლები მოიგეს.

კარგად გამოვიდნენ სხვებიც: ჩვენი გუნდი ბოლო გაცურვამდე ლიდერობდა, მაგრამ საბოლოოდ III ადგილზე აღმოჩნდა. ყველას აჯობეს სამხრეთ-დასავლეთის გზის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ოდესა — კიშინიოვის გზის ნიჩბოსნები.

◆

## თბილისელთა წვლილი

რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტულმა კავშირმა თავისი მძლეოსნების მორიგი პირველობა ლენინგრადში ჩაატარა. სასპარეზოდ ჩამოვიდნენ 18 ქვეყნის საუკეთესო ათლეტები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — სსრ კავშირის მძლეოსნებმა. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს წარმომადგენლებმა — თბილისის სავაგონო დეპოს ხარატმა, სპორტის ოსტატმა ტ. ბახტაძემ და ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ინსტრუქტორმა, ოსტატობის კანდიდატმა ა. ანდრეევმა. ესტაფეტაში 4 × 400 მეტრზე გუნდმა, რომლის ბოლო ეტაპზე ტ. ბახტაძე გამოდიოდა, I ადგილი დაიკავა და ევროპის რკინიგზელთა ახალი რეკორდი დაამყარა.

სამ სახეობაში ცდიდა ძალებს ა. ანდრეევი, რომელმაც ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი დაისაკუთრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მაჩვენებელი 200 მეტრზე რბენაში — 21,6.

რ. ფოფხაძე.

იწურება ზაფხულის ბოლო თვეც და მოსწავლეთა საინტერესო ლაშქრობებს ჩვენი წარმტაცი ბუნების წიაღში დროებით წერტილი ესმება. გაჯანსაღებული, მდიდარი შთაბეჭდილებებით აღვსილი მოსწავლე ახალგაზრდობა ახალი ენერგიით შეუდგება სწავლას.

სურათზე: მოსწავლეები ლაშქრობისას.

ფოტო ზ. დევდარიანისა.

# ვინ გაიმარჯვებს?

## ჩავებათ კონკურს-დათვალიერებაში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დაამტკიცა დებულება კონკურს-დათვალიერებისა, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს ბავშვთა შორის მძლეოსნობის განვითარების საქმეში საუკეთესო ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლები, მწვრთნელები და მასწავლებლები, ხელი შეუწყოს ჩვენს რესპუბლიკაში ამ სახეობის შემდგომ განვითარებას, საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადებისთვის სპორტსმენთა მომზადებას.

კონკურს-დათვალიერება მოეწყობა 1966-67 წლებში ორ ეტაპად. პირველი ეტაპით დაჯამდება 1965-66, ხოლო მეორეთი — 1966-67 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები.

კონკურს-დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ განათლების სამინისტროს იმ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებს, იმ მწვრთნელებს (სამსახურის ადგილის მიუხედავად), რომელთა აღზრდილებიც პირველ ეტაპზე სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობაში, ხოლო მეორე ეტაპზე — მოსწავლეთა 1967 წლის საკავშირო სპარტაკიადაში გამოვლენ.

ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებს, მწვრთნელებსა და ფიზაღზრდის მასწავლებლებს ქულები დაერიცხებათ: პირველ ეტაპზე — საქართველოს წლევანდელი სპარტაკიადისა და მოსწავლეთა საკავშირო პირველობის, ხოლო მეორე ეტაპზე — ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა წლევანდელი საშემოდგომო პირველობის, ჭაბუკთა 1966-67 წ. წ. ზამთრის საკავშირო ასპარეზობის, მოსწავლეთა 1967 წლის რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადის, აგრეთვე, საქართველოსა და სსრ. კავშირის ახალგაზრდული და მოზრდილთა გუნდების შეჯიბრებების, საერთაშორისო ასპარეზობებისა და რესპუბლიკის გუნდების მატჩის შედეგების მიხედვით (ამ უკანასკნელ მატჩს განათლების სამინისტრო ატარებს).

კონკურს-დათვალიერების შედეგების დაჯამების შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდებიან: პირველი ჯგუფის ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, სხვა ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 6-6 დირექტორი, პირველი ჯგუფის სპორტული სკოლების 3 დირექტორი (თბილისის, ბათუმისა და ცხინვალის განათლების განყოფილებების სპეციალიზებული სპორტული სკოლები. განათლების სამინისტროს სპორტული სკოლა-ინტერნატი, სოხუმისა და ქუთაისის განათლების განყოფილების კომპლექსური და განათლების სამინისტროს სპორტული სკოლები); თბილისის რაიონების განათლების განყოფილებებისა და პერიფერიების სპორტული სკოლების 6 დირექტორი (გარდა პირველი ჯგუფის ქალაქებისა), თბილისის, რაიონების, განათლების სამინისტროს სპორტსკოლების ფილიალების მძლეოსნობის ჯგუფის ექვსი მწვრთნელი, პირველი ჯგუფის ქალაქებში მომუშავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 10 მწვრთნელი და ფიზაღზრდის 10 მასწავლებელი, სხვა ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე 10 მწვრთნელი და 10 მასწავლებელი. ქულათა რაოდენობით გამარჯვებული 3 მწვრთნელი დაჯილდოვდება სსრ კავშირში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების საგზურით. მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრების საგზური გადაეცემა სამ მწვრთნელს, რომლებიც კონკურსში IV-VI ადგილებს დაიკავებენ.

ცალკეულ ჯგუფში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები და ფიზაღზრდის მასწავლებლები, აგრეთვე, სპორტსკოლების დირექტორები გაიგზავნებიან მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო სპორტული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურული მუშაობის გამოცდილების შესასწავლად.

შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე აღიძვრება საკითხი იმ მწვრთნელების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა და ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებათა მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

განაცხადი კონკურს-დათვალიერებაში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის განყოფილებაში 1966 და 1967 წლების 10 სექტემბრამდე (ეტაპების მიხედვით).

ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამოწმებულ განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს იმ სკოლის დირექტორის, მწვრთნელის, ფიზაღზრდის მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომლებმაც სსრ კავშირის 1966 წლის პირველობის ძირითადი შეჯიბრებებისა (პირველი ეტაპი) და სსრ კავშირის 1967 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადის (II ეტაპი) მონაწილე სპორტსმენები მოამზადეს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, იმ მოსწავლეების გვარი, სახელი, მამის სახელი და ასაკი, რომელთაც ძირითად შეჯიბრებებში (ჭაბუკთა 1966 წლის საკავშირო პირველობა, 1967 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადა) მონაწილეობა ვერ მიიღეს, მაგრამ მაღალი თანრიგის ნორმა შეასრულეს და დაამყარეს რეკორდები დებულებით გათვალისწინებულ ჩასათვლელ შეჯიბრებებში.

10 სექტემბრის შემდეგ მიღებულ მასალებს კონკურსის ჟიური არ განიხილავს.

# ნევის გილიკებზე

ლენინგრადი (ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. ტურნირში კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები, რომლებიც მხოლოდ უკრაინის, რსფსრ-ისა და ლენინგრადის კოლექტივებს ჩამორჩნენ. საქართველოს ნიჩბოსნებმა პირად პირველობაშიც ისახელეს თავი. ვ. პოკრიშჩენკოსა და ბ. მხეიძის „დუეტმა" ორადგილიანი ბაიდარით 10.000 მეტრზე რბოლაში ყველას აჯობა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. პოკრიშჩენკომ გამარჯვება იზეიმა ერთადგილიანით 1.000 მეტრზე შეჯიბრებაშიც.

აქვე ჩატარდა სპორტული კლუბების პირველობა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრმა პოკრიშჩენკომ კვლავ გამოიჩინა თავი — მოიგო ერთადგილიანი ბაიდარით 500 და 1.000 მეტრზე რბოლები, მხეიძესთან ერთად კი ამავე დისტანციაზე ასპარეზობისას ფინიშთან მეორე იყო. ერთადგილიანი ბაიდარით 10.000 მეტრზე III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ვ. კოჟევნიკოვმა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიგო ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი გავიდა II ადგილზე. III ადგილზე არიან გომელის პედინსტიტუტის წარმომადგენლები.

**ა. გელერი,**
სპორტის ოსტატი.

# ფრე და წაგება

ხარკოვი, 23 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს" აუზში გრძელდება „ბ" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. წინასწარი შეხვედრების შემდეგ ფინალში გავიდა 6 კოლექტივი — „დინამო" (ხარკოვი), ასკ (ლვოვი), გსვგ, „განთიადი" (თბილისი), „ტრუდი" (ლენინგრადი), „დინამო" (მოსკოვის ოლქი).

მოეწყო ფინალისტთა პირველი მატჩები. „განთიადისა" და გსვგ-ს გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 6:6. საქართველოს წყალბურთელებმა მორიგი მატჩი წააგეს მასპინძლებთან — ხარკოველ სპორტსმენებთან — 5:10. ლენინგრადის „ტრუდმა" მოუგო მოსკოვის ოლქის „დინამოს" — 6:5.

**ა. იოგანი.**

# საუკეთესო ბომბარდირი

საბჭოთა ხელბურთის ისტორიაში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი პოპულარული სპორტსმენი, როგორიც თბილისელი ჯემალ ცერცვაძეა. იგი მეკარეების რისხვაა. მის ყუმბარისებურ ტყორცნებს ხშირად აღტაცებაში მოუყვანია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოელი მაყურებლებიც. ყოველი ჩემპიონატის ბოლოს იგი, როგორც წესი, საუკეთესო ბომბარდირთა სიის სათავეშია ხოლმე.

სურათზე: ჯ. ცერცვაძე შეტევისას.

ფოტო ა. საპკოვისა.



# 40 დღე გამაჯანსაღებელ ბანაკში

საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტული ინტერნატის აღსაზრდელებმა ზაფხული ბათუმის გამაჯანსაღებელ ბანაკში გაატარეს.

შეუმჩნევლად გაირბინა ორმოცმა დღემ. ექსკურსიები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ქობულეთში, მახინჯაურში. ვარჯიში, შეჯიბრებები ჭადრაკში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში... ინტერნატის ფეხბურთელებმა მოუგეს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს (4:3). ფრედ (2:2) ითამაშეს ბათუმის „ნარინჯთან" და თუმცა ერთი-ორჯერ წააგეს კიდეც (ბათუმის „დინამოს" დუბლშემადგენლობასთან — 0:2 და საქართველოს პირველობის ლიდერთან, ლანჩხუთის „გურიასთან"—1:4), ეს შეხვედრები მაინც დიდად სასარგებლო იყო.

ზაფხული არც ნორჩი მძლეოსნებისთვის გამოდგა უნაყოფო. ბევრმა გააუმჯობესა პირადი შედეგი. მაგალითად, საქართველოს რეკორდსმენმა ექვსჭიდში ვ. ხართიშვილმა მაჩვენებლები ბირთვის კვრაში 11,78 მეტრამდე, ხოლო ბადროს ტყორცნაში 39,10 მეტრამდე გაზარდა. საქართველოს რეკორდსმენი ხელყუმბარის ტყორცნაში 15-16 წლის გოგონათა შორის ნ. ჩიკოიძე შუბის ტყორცნის ტექნიკას ეუფლებოდა. ერთ-ერთ შეჯიბრებაში მისი შუბი 36,52 მეტრზე დაეცა, წვრთნისას კი ნორჩმა სპორტსმენმა რესპუბლიკურ რეკორდსაც გადააჭარბა. თავი ისახელა გ. ბერაიამ, რომელმაც ბათუმის სტადიონზე, ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ ასპარეზობაში ბირთვი 18,13 მეტრზე ჰკრა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა 15-16 წლის გოგონებისთვის.

**გ. ტახტაროვი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

რაიონებში [illegible]

**სოხუმი**

რამდენიმე დღეს გაგრძელდა რაიონის პირველობა ფეხბურთში. კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა ბესლეთის სასოფლო საბჭოს აბჟაყვის კოლმეურნეობამ, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. II ადგილზე გავიდნენ გუმისთელები.

**შ. ჯალაღონია.**

# სხეულის გაკაჟება ზაფხულში

თბილისელებს საუცხოო პირობები აქვთ ზაფხულის თვეებში კარგი დასვენებისთვის. გავიხსენოთ, თუნდაც თბილისის ზღვა, ლისისა და კუს ტბები, ჩვენი დედაქალაქის ამწვანებული შემოგარენი... მაგრამ, როგორც ჩანს, ყველას როდი შეუძლია ბუნების ამ უხვი წყალობის გონივრულად გამოყენება.

სწორედ ამის თაობაზე მსურს გითხრათ ორიოდე სიტყვა. პირველ ყოვლისა, მოგაგონებთ, რომ სხეულის გაკაჟება ფიზიკური აღზრდის სისტემაში შედის და ბუნებრივი ფაქტორების სწორ გამოყენებაზეა დაფუძნებული. მეორე. — ადამიანის კანი არის რთული ორგანო, რომელსაც აუარებელი ფუნქცია აკისრია. კანის გარეგნული გამღიზიანებლები — მზე, ჰაერი და წყალი დადებითად მოქმედებენ ადამიანის მთელ ნერვულ სისტემაზე, ნივთიერებათა ცვლაზე და სხვ.

აქვე შევნიშნავ, რომ სხეულის გაკაჟება, ისევე როგორც ფიზიკური წვრთნა, ექიმის მეთვალყურეობით უნდა მოხდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ხანდაზმულობის ასაკში, როცა აუცილებელია ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა და სხეულის რეაქციის გათვალისწინება.

ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ულტრაიისფერ სხივებს, რომელთაც კანი მთლიანად შთანთქავს და რაც ადამიანის სხეულში მთელი რიგი რთული პროცესების განვითარებას იწვევს. მზის სხივები საუკეთესო გავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, განწყობილებასა და შრომისუნარიანობაზე. მაგრამ ამ აბაზანებმა შეიძლება სარგებლობის მაგიერ ზიანიც მოგვიტანოს თუ სწორად არ გამოვიყენებთ. მაგალითად, შეიძლება მივიღოთ დამწვრობა, ან მზის დარტყმაც კი, გავიღიზიანოთ ნერვული სისტემა და ა. შ. მას, ვისაც მზის სხივების მიმართ მგრძნობელობა განსაკუთრებით მძაფრი აქვს, ჯანმრთელობას კი უჩივის, მზის აბაზანები არ მოუხდება. მთავარია არ გვიღალატოს ზომიერების გრძნობამ. ულტრაიისფერი სხივები მოქმედებისას არავითარ შეგრძნებას არ იწვევს და ამიტომ მათ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მზის აბაზანების მიღება კარგია დილის 8-დან 11 საათამდე, გრილ დღეებში — 11-დან 13 საათამდე (მაგალითად, 18-გრადუსიანი ტემპერატურის დროს მიზანშეწონილია). გახსოვდეთ, რომ პირველ დღეს მზეზე მხოლოდ 5 წუთს უნდა დარჩეთ, შემდეგ ამ დროს თანდათან უმატეთ ნახევარ ან 1 საათამდე (ზოგჯერ შეიძლება 2 საათზე მეტიც დაჰყოთ). თუ შეატყობთ, რომ კანი გაგიწითლდათ ან აგტკივდათ (სწორედ ეს გახლავთ დამწვრობის პირველი ნიშანი), მაშინვე მოარიდეთ თავი მზეს. აუცილებელია ასაკის გათვალისწინება (განსაკუთრებით სიფრთხილე მართებთ ხანდაზმულებს, უფრო კი მათ, ვინც სისხლძარღვების სკლეროზის საწყის მოვლენებს ამჩნევს. ისინი მზიან დღეებში თავდაუხურავად სიარულს უნდა ერიდონ). კარგია, თუ მზის აბაზანის მიღების შემდეგ 10 წუთს ჩრდილში გაატარებთ, შემდეგ გადაივლებთ წყალს და ჩრდილშივე წამოწვებით.

თუ მზის სხივები გრგებთ, უნდა გექნეთ კარგი განწყობილება, კარგი ძილი (რასაკვირველია, არა მზის გულზე), ნორმალური მადა, მაღალი შრომისუნარიანობა.

რაც შეეხება ჰაერის აბაზანებს, ეს მუდამ და ყოველგვარ პირობებშია ხელმისაწვდომი. კარგია ჰაერით მკურნალობა ჩაატაროთ ღია ცის ქვეშ, ჩრდილში, ზღვის, ტბის, მდინარის ნაპირას (შეიძლება აივანზე და ოთახშიც). პირველი აბაზანის ხანგრძლივობა 10-15 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ 10-10 წუთი უმატეთ და ეს დრო 1-2 საათამდე გაზარდეთ. ჰაერით მკურნალობა, თუ ეს გავლენას არ ახდენს თქვენს ჯანმრთელობაზე, შეგიძლიათ შეუნაცვლოთ მზის აბაზანებს. აბაზანის შემდეგ კარგი იქნება თუ ტანს სველი ტილოთი დაიზელთ ან წყალს გადაივლებთ. ჰაერით მკურნალობა ამაგრებს სისხლძარღვებს, კარგად მოქმედებს კანზე, უხდება გულს.

წყალი ნაკლებ როლს როდი ასრულებს ადამიანის სხეულის გაკაჟებაში. პირიქით, იგი უფრო ძლიერად მოქმედებს, ვინემ ჰაერი. ზაფხულში მას არაფერი შეედრება ამ თვალსაზრისით, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ შემდეგი: წყლით მკურნალობის დაწყებისას თავდაპირველად აბაზანა დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღოთ, სადილობის დამთავრებისთანავე ნუ იბანავებთ, ოფლიანი ნუ მიიღებთ აბაზანას, წყალში ნელ-ნელა უნდა ჩახვიდეთ და სწრაფად ამოხვიდეთ, ამასთან აბაზანის მიღებისას აუცილებლად უნდა იმოძრაოთ (იცურაოთ), არ უნდა შეგცივდეთ, თავბრუ არ უნდა დაგეხვეთ. წყლიდან რომ ამოხვალთ, ტანი მანამდე იმშრალეთ პირსახოცით, სანამ კანი ოდნავ არ დაგიწითლდებათ.

**ჯანმრთელობის ტრიბუნა**

წყლის გონივრულად გამოყენება სხვაფრივაც შეიძლება. მაგალითად, ძალიან კარგია, თუ სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ტანს წელამდე დაიბანთ ცივი წყლით, ეს აჯანსაღებს და აწრთობს სხეულს.

**დ. კნოპი,**
საქართველოს დამსახურებული ექიმი.

# ლიდერი უკან იცქირება

მიმოხილვა



ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატმა გარკვეული დროით მოაცილა ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება შინაური ფეხბურთის პრობლემებს. მართალია, სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ივლისში მაყურებელთა საკმარისი დასწრებით მიმდინარეობდა, იგი მაინც მხოლოდ მეორეხარისხოვანი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მთავარი მღელვარებანი დაკავშირებული იყო ოქროს ქალღმერთ ნიკესთან.

ახლა ქალღმერთი „დასასვენებლად" წავიდა ოთხწლიანი ვადით და ჩვენც მისი გავლენის გარეშე შეგვიძლია შევხედოთ ყველაფერს, რაც კი საკავშირო ჩემპიონატში ხდება, როგორლაც დავუპირისპიროთ ერთმანეთს ის, რაც ინგლისის საფეხბურთო მინდვრებზე ვნახეთ და რაც ჩვენში არსებობს. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ასეთი დაპირისპირებისთვის ახლავე მოგვეცა ხელსაყრელი შემთხვევა. 13 აგვისტოს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში, II წრის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — „ტორპედო" (მოსკოვი) და თასის მფლობელი „სპარტაკი" (მოსკოვი), საბჭოთა ფეხბურთის ორი წარმომადგენელი, რომლებმაც შემოდგომაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ვერ ვიტყვით, რომ მატჩის შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელია. შეხვედრა მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში, რომლებსაც ზოგჯერ მწვავე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შეცდომები საკმარისზე მეტი იყო. ტორპედოელები არ გამოჰყურებოდნენ გუნდად, რომლის შესაძლებლობანი უკვე გადასულია რეალურ სათამაშო ძალად. მათს შეტევებს, მიუხედავად ე. სტრელცოვის დიდი სიძლიერისა, არ ჰქონდა მრისხანე ხასიათი და, რაც მთავარია, არ იყო ლოგიკურად დასაბუთებული.

თავდამსხმელებს ყოველთვის არ ესმოდათ ერთმანეთისა, არ წარმოადგენდნენ შეხმატკბილებულ, კარგად შეთამაშებულ ხაზს. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ გაიმარჯვეს (ამის დანახვა ძნელი არ იყო ტრიბუნიდან) არა იმიტომ, რომ მეტოქის დაძლევა თავიანთი ძლიერებით შეძლეს, არამედ უფრო იმიტომ, რომ „სპარტაკმა" მეტისმეტად ადრე დაყარა ფარ-ხმალი.

მე მესმის, რომ სსრ კავშირის თასის მფლობელისთვის საყვედურის თქმა ამ მატჩში სუსტი მორალურ-ნებელობითი განწყობილებისთვის საწყენია, და მაინც, „სპარტაკი" დღეს ძალზე მკრთალად წააგავს კლუბს, რომელსაც შეუძლია იბრძოლოს ბოლო წუთამდე და არ შედრკეს შემთხვევითი თუ დროებითი წარუმატებლობის გამო. ჩემპიონებთან მატჩში „სპარტაკს" ჰქონდა ინიციატივა, ტერიტორიული უპირატესობაც, მაგრამ სწრაფად დაკარგა ყოველივე ეს, როცა ბედმა მოწინააღმდეგეს გაუღიმა. წარუმატებლობამ იმდენად დააბნია თასის მფლობელი, რომ მათმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. ოსიანინმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის შესრულებისას ბურთი კარს ააცილა.

დღეს, როცა თავდამსხმელებზე ვლაპარაკობთ, უნებლიედ გვახსენდება ეუსებიო, ალბერტი, ან ბენე. უპირველეს ყოვლისა, ვიხსენებთ მათს მაღალ ტექნიკას და საგოლე მომენტების გამოყენების უნარს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის მატჩში მოწმენი ვიყავით, თუ როგორ ვერ გამოიყენა სპარტაკელმა პენალტიც კი, ხოლო ტორპედოელმა ვ. დენისოვმა ბურთის გატანა 11-მეტრიანიდან შეძლო მხოლოდ მეორე ცდით და ისიც მეკარე ვ. მასლაჩენკოს აშკარა „ხელშეწყობით". იყო სხვა (თუმცა ასეთი მკაფიო არა) ეპიზოდებიც, როცა ორივე კლუბის თავდამსხმელები ვერ იდგნენ თავიანთი „წოდების" სიმაღლეზე.

ახლა „ტორპედოც" და „სპარტაკიც" საკავშირო ჩემპიონატის ლიდერთა შორის იმყოფებიან და მათი თამაშის მიხედვით შეიძლება ასე თუ ისე ვიმსჯელოთ მოწინავე გუნდების ოსტატობის დონეზე. ძნელია სეზონის მეორე ნახევრისთვის ეს დონე დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. იქნებ აქ თავი იჩინა უძლიერეს მოთამაშეთა წასვლამ კლუბებიდან, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდნენ. მაგრამ, ვეჭვობთ, ეს არგუმენტი საბუთად გამოდგეს.

გაზაფხულისა და ზაფხულის მანძილზე ყველასთვის სანიმუშო იყო ჩემპიონატის ლიდერის — კიევის „დინამოს" თამაში. ეს კლუბი, რომელიც დაწინაურდა ჯერ კიდევ ტურნირის სტარტზე, საკმაოდ აგრესიული იყო და ტაქტიკურად მრავალფეროვნად გამოიყურებოდა. ახალგაზრდობა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების წევრთა შემცვლელად მოვიდა (განსაკუთრებით ვ. მუნტიანი და ა. ბიშოვეცი), ახარებდა გულშემატკივრებსაც და სპეციალისტებსაც. იგი თავისი თამაშით უარყოფდა ჩვენში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეხბურთელებზე. წელთა სიმცირე სულაც არ უშლიდა ხელს კიევის „დინამოს" ახალბედებს.

პირველ წრეში ლიდერის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მასზე წინასწარ ლაპარაკობდნენ, როგორც მომავალ ჩემპიონზე. კიეველებს დღესაც ქულათა საკმარისი მარაგი აქვთ, მაგრამ მაინც დადგა უკან მიხედვის დრო. „მდევრებმა" მიიღეს ლონდონის შევსება და მჭიდრო ჯგუფად იკრიბებიან, რათა შემოდგომის გადამწყვეტ დღეებში თქვან თავიანთი საბოლოო სიტყვა.

„სპარტაკისა" და „ტორპედოს" მატჩში, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჩვენ ვიხილეთ არა მარტო ამ ორი კლუბის სუსტი მხარეები, არამედ პოტენციური შესაძლებლობანიც. თუ ტორპედოელები შეძლებენ თავდასხმის ხაზის სტაბილიზებას, მის მოქმედებაში მეტი ურთიერთგაგებისა და გონიერების შეტანას, შეძლებენ ადრინდელი სიმძლავრით თამაშს, ისინი ლიდერს ღირსეულ კონკურენციას შეუქმნიან.

„სპარტაკის" ამოცანები თუმცა უფრო ძნელია (საჭიროა დაცვის განმტკიცება, სადაც ხშირად აქვს ადგილი ჩავარდნებს), მაგრამ არც აქაა საქმე ისე, რომ შეცდომათა გამოსწორება შეუძლებელი იყოს. გადაახალისებს რა დაცვით ხაზს, სსრ კავშირის თასის მფლობელი შეძლებს სატურნირო ცხრილში მაღალი ადგილის იმედი იქონიოს.

ჩვენი აზრით, კიეველები განსაკუთრებული სიფრთხილით უყურებენ თავიანთ ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს — ცსკა-ს. გატანილი გოლების მიხედვით არმიელებს ერთობ მაღალი ადგილი უჭირავთ, თუმცა თავიანთი ძირითადი მცველების — ა. შესტერნიოვისა და ვ. პონომარიოვის გარეშე მათ ძალიან ბევრი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. ახლა ცსკა-ს ყველა საშუალება აქვს საიმისოდ, რომ აღიდგინოს დაცვის სიძლიერე. თუ ამ გუნდის თავდასხმის სიძლიერეს თან დაერთო დაცვის თამაშის სტაბილურობაც, მას სრული უფლება აქვს იფიქროს ლიდერობაზე.

ნუ ავიღებთ ჩვენს თავზე მკითხავთა ფუნქციებს, თუ როგორ წარიმართება მომავალში მატჩები ლიდერთა შორის. ვფიქრობთ, თვითეული მათგანი საკმარისად დაძაბული და საინტერესო იქნება. ეს გვპირდება საინტერესო ბრძოლას და გვაძლევს იმედს, რომ ჩვენს მინდვრებზე ვიხილავთ უფრო უკეთეს ფეხბურთს, ვიდრე აქამდე ვხედავდით.

ვ. კირიულიუკი.

## ნაკრების კალენდარი

1967 წლის საფეხბურთო სეზონის ძირითადი მოვლენა იქნება ევროპის ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში სსრ კავშირის ნაკრების მონაწილეობით. მიღწეულია ოფიციალური შეთანხმება მომავალ შეხვედრათა ვადებზე.

28 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები, ხოლო 16 ივლისს — სსრ კავშირი და საბერძნეთი. 30 აგვისტოს მოსკოვს ეწვევა ფინეთის ნაკრები.

შემოდგომით საბჭოთა ფეხბურთელები ჩაატარებენ საპასუხო შეხვედრებს: 6 სექტემბერს — ჰელსინკში, ფინეთთან, 15 ოქტომბერს — ვენაში, ავსტრიასთან და 31 ოქტომბერს — ათენში, საბერძნეთის ნაკრებთან.

## ვ. ბაკლანოვა — ევროპის ჩემპიონი

**უტრეხტი, 22 აგვისტო.** საბჭოთა სპორტსმენებმა 8 წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნეს კონტინენტის ჩემპიონის წოდება ქალთა შორის ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. ეს გააკეთა 19 წლის ვ. ბაკლანოვამ (მოსკოვი). ჩემპიონს ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს გდრ-ის სპორტსმენმა დ. რაინჰარდმა და თანაქალაქელმა თ. ფედოსოვამ. ბაკლანოვას შედეგია 682,95 ქულა. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა რაინჰარდმა (680,25 ქულა), ხოლო ბრინჯაოსი — ფედოსოვამ (666,15).

1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის ვ. ბაკლანოვას წარმატება მეტად მნიშვნელოვანია: მას ხომ კონტინენტის 22 უძლიერესი სპორტსმენი ეცილებოდა პირველობას!

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა ინგლისელმა რ. მაკგრეგორმა, რომელმაც აჩვენა 53,9 წამი. მას 0,4 წამით ჩამორჩა მოსკოველი ლ. ილიჩოვი, რომელსაც ვერცხლის მედალი გადაეცა. III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი ფ. პოზერი — 54,8. მეორე საბჭოთა სპორტსმენი გ. კულიკოვი IV ადგილით დაკმაყოფილდა (54,9).

ქალებში ამ მანძილზე კონტინენტის ჩემპიონი ევროპის ახალი რეკორდით გახდა მ. გრუნერტი (გდრ) — 1.01,2. II ადგილზეა უნგრელი ი. ტუროცი, ხოლო III — ინგლისელი პ. სილეტი. საბჭოთა სპორტსმენები ფინალში ვერ მოხვდნენ.

წყალბურთელთა წინასწარ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ბულგარელები — 8:0.

• • •

სურათზე: ევროპის ჩემპიონი რ. მაკგრეგორი.



## „ტყავის ბურთის" პრიზზე

**ხარკოვი, 22 აგვისტო.** ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის, „ლოკომოტივისა" და „ზვეზდის" სტადიონებზე დილით და საღამოთი მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა მატჩები „ტყავის ბურთის" პრიზზე. სტადიონების ეს „სამკუთხედი" დაახლოებით 30 კილომეტრს უდრის, მაგრამ ნორჩების გულშემატკივარნი ყველგან ასწრებენ. დამთავრდა წინასწარი შეხვედრები და გამოვლინდა 8 უძლიერესი გუნდი: „ანი" (სომხეთი), „ვენტა" (ლატვია), „გიოკ-გილი" (აზერბაიჯანი), „დელისი" (საქართველო), „ზარია" (კამენეც-ურალსკი), „სალუტი" (ივანოვო), „ფაკელი" (ხარკოვი), „ჩაიკა" (ტომსკის ოლქი).

ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა „ზარია", რომლის აქტივშია 10 ბურთი. II ადგილზეა „ფაკელი" — 7. ამ ორი გუნდის თავდამსხმელებმა ა. შირშოვმა და ი. ტკაჩენკომ გაიტანეს 5-5 ბურთი.

რაც შეეხება გუნდებს, რომლებიც სანუკვარი მიჯნის მიღმა დარჩნენ, აქაც არის გულდასაწყვეტი სიურპრიზები. პიონერული ფეხბურთის ახალმა ძალებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს შარშანდელ ფავორიტებს. მინსკელები აქამდე ოქროს მედლებს ფლობდნენ, ახლა კი მხოლოდ III ეშელონში მოხვდნენ, სადაც ბრძოლა XVII-XXIV ადგილებისთვის წარმოებს. მათ ბევრით ვერ გასცდნენ მოსკოველებიც, რომლებიც იბრძვიან მხოლოდ IX-XVI ადგილებისთვის.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 25 | 16 | 5 | 4 | 51—23 | 37 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 25 | 13 | 7 | 5 | 39—24 | 33 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 25 | 13 | 6 | 6 | 35—22 | 32 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 24 | 13 | 5 | 6 | 25—17 | 31 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 25 | 11 | 8 | 6 | 39—25 | 30 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 25 | 11 | 7 | 7 | 27—22 | 29 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 25 | 10 | 8 | 7 | 26—18 | 28 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 25 | 10 | 7 | 8 | 44—26 | 27 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 25 | 11 | 4 | 10 | 27—24 | 26 |
| „დინამო" (სოხუმი) | 25 | 9 | 7 | 9 | 33—31 | 25 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 24 | 9 | 5 | 10 | 40—29 | 23 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 25 | 9 | 5 | 11 | 31—31 | 23 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 25 | 7 | 9 | 9 | 19—26 | 23 |
| „თერეკი" (გროზნი) | 24 | 10 | 2 | 12 | 31—32 | 22 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 25 | 6 | 9 | 11 | 26—34 | 21 |
| „დილა" (გორი) | 25 | 7 | 6 | 12 | 21—33 | 20 |
| „არაქსი" (ერევანი) | 25 | 7 | 5 | 13 | 19—36 | 19 |
| „ურალანი" (ელისტა) | 24 | 4 | 9 | 11 | 21—46 | 17 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 25 | 5 | 6 | 14 | 26—42 | 16 |
| „დრუჟბა" (დერბენტი) | 25 | 5 | 4 | 16 | 26—65 | 14 |

## ბათუმის საერთაშორისო ტურნირის პარტიებიდან

### სპეციალური პრიზი ენდშპილისთვის

**რ. ჯინჯიხაშვილი — ვ. ბაგიროვი**

აზერბაიჯანის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი ბოლო წლებში იშვიათად მარცხდება. ბათუმში მხოლოდ ჩვენმა ჩემპიონმა შეძლო მისი დაჯაბნა. პარტია უაღრესად საინტერესოდაა ნათამაშევი ენდშპილში, რისთვისაც რ. ჯინჯიხაშვილმა სპეციალური პრიზი მიიღო.

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. e4 e5 4. მf3 კb4+ 5. მc3 ed 6. ლ:d4 ლ:d4 7. მ:d4 კd7 8. კ:c4 მc6 9. მb5 0—0—0 10. a3 კa5 11. b4 კb6 12. მd5 მe5 13. კe2 კ:b5 14. მ:b6+ ab 15. კ:b5 მd3+ 16. კ:d3 ე:d3 17. მფe2 ეd7 18. კb2 f6 19. ეhd1 მe7 20. ე:d7 მფ:d7 21. ეd1+ მფe6 22. f4 h5 23. f5+ მფf7 24. h3 ეe8 25. მფf3 g6 26. g4 hg+ 27. hg gf 28. ef ეh8 29. მფg3 ეg8 30. ეd7 მფe8 31. ე:c7 მ:f5+ 32. მფf4 მh6 33. ე:b7 ე:g4+ 34. მფf3 f5 35. ე:b6 მf7 36. კf6 მფd7 37. a4 მd6 38. a5 მe4 39. ეb7+ მფc6 40. a6 მd6.



41. კe5 მc4 (სწრაფად აგებდა 41. ... მ:b7 42. a7 ეg8 43. კb8 გამო). 42. b5+ მფd5 43. კf4 ეg1 44. a7 ეa1 45. ეc7 ეa3+ 46. მფe2 ეa2+ 47. მფd1 მb6 48. კe3 მc4 49. ეc5+ მფe4 50. ე:c4 მფ:e3 51. b6. შავებმა დანებდნენ.

### დროის ნაკლებობის მიუხედავად

**ბ. კურაიცა — ა. ბუსლაევი**

ა. ბუსლაევის თანმიმდევრულმა თამაშმა, მისი ახალგაზრდა მეტოქის უამრავი შეცდომა გამოიწვია. თბილისელმა ოსტატმა უპირატესობა მიიღო, მაგრამ ცაიტნოტს ვერ დააღწია თავი, თანაც ბ. კურაიცას ტაქტიკურ მუქარას ალღო ვერ აუღო და დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დროის ნაკლებობის მიუხედავად, ბუსლაევმა მაინც შეძლო თანაბარი პოზიციის შენარჩუნება. იუგოსლაველმა შეხვედრა მუდმივი ქიშით ყაიმით დაამთავრა.

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. მf3 d5 3. მc3 კg4 4. ed cd 5. კb5+ მc6 6. h3 კ:f3 7. ლ:f3 e6 8. 0—0 კc7 9. მe2 მf6 10. d4 a6 11. კa4 b5 12. კb3 მa5 13. a4 0—0 14. კa2 ba 15. კb1 ლd7 16. მc3 a3 17. b3 მc6 18. მa4 ლa7 19. c3 ეab8 20. კc2 ეfc8 21. ლd1 ლc7 22. კ:a3 კ:a3 23. ე:a3 მa7 24. მc5 მb5 25. ეa1 ეb6 26. ლd3 g6 27. b4 e5 28. კa4 e4 29. ლd2 მh5 30. კb3 ლf4 31. ლc1 ლd6 32. f3 მf4 33. ეa2 ef 34. ე:f3 მe6 35. ლf1 f5 36. ეe3 მg5 37. ეae2 მe4 38. მ:e4 fe 39. ე:e4 მ:c3 40. ეe8+ ე:e8 41. ე:e8+ მფg7 42. ლe1 ლc6 43. ეe7+ მფg8 44. ლh4 h6 45. ეe5 მფg7 46. ეe7+ მფg8 47. ეe3 მფg7 48. ეe7+. ყაიმი.

### ჭადრაკი

## 4 ლიდერი

**ნოვოსიბირსკი, 23 აგვისტო** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში 5 ტურის შემდეგ წინ არიან ოსტატები კაკაბაძე, ვოლპერტი, ბიშარდი და მუსლიმოვა, რომლებსაც 3,5-3,5 ქულა აქვთ.

ხ. მეგრელიშვილი.

# ბინძური თამაში სან-ხუანში

„შეიარაღებისთვის მარტო ბომბები, თვითმფრინავები და ტანკები როდი კმარა. ჩვენ და ჩვენს ამერიკელ მეგობრებს კარგად გვესმის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ომს, ბრძოლას სულისათვის. თუ გვინდა შინ გამარჯვებული დავბრუნდეთ, ეს ომიც უნდა მოვიგოთ. დიახ, ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა ფრონტზე, ბრძოლის ველი იქნება კულტურა, მეცნიერება, სპორტი. არაფერს ვითაკილებთ, არაფერს გავუშვებთ ხელიდან"... ეს კუბელი ხალხის მოღალატის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯაშუშის, კონტრრევოლუციონერ მანუელ არტიმეს სიტყვებია.

არტიმეს აზრადაც არ მოსდის დაფაროს, რომ ის და მისი ვაშინგტონელი ბატონები რევოლუციური კუბის ავტორიტეტის მოსპობისთვის მზად არიან გამოიყენონ ყველაფერი და, სხვათა შორის, სპორტიც. ამის დასტურად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც ის გარემოება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაჭრით აუკრძალა ამერიკელ სპორტსმენებს კუბელ კოლეგებთან შეხვედრა. ამ გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგა დიდოსტატი რ. ფიშერიც კი, რომელსაც სურდა ჰავანაში ჩასულიყო კაპაბლანკას სახელობის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. თავის დროზე ბეისბოლის ამერიკის ფედერაციამ მოითხოვა ლათინური ამერიკის კავშირიდან გაერიცხათ კუბელი ბეისბოლისტები. მოყვარულ ათლეტთა ამერიკის კავშირის ხელმძღვანელები კი ენერგიულად იბრძოდნენ ოლიმპიურ თამაშებში კუბელ სპორტსმენთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

გაზეთები წერდნენ, რომ ბევრი ამერიკელი სტუდენტი-სპორტსმენი მაინც ჩავიდა კუბაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ შესთავაზეს „დაწვრილებით აეწერათ კუნძულის თავდაცვითი ნაგებობანი და სამხედრო ობიექტები".

ამას წინათ პუერტო-რიკოში ჩატარდა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების X სპორტული თამაშები. აი, რას წერს ლათინური ამერიკის პრესა:

## საორგანიზაციო კომიტეტი ბოდიშს ითხოვს

ამერიკელი პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ კუბელებისთვის ამ თამაშებში მონაწილეობის უფლება არ მიეცათ. „საქმეში" ჩაბმული იყვნენ სახელმწიფო დეპარტამენტის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოღვაწენიც კი. მაგრამ, პუერტო-რიკოს საორგანიზაციო კომიტეტის მტკიცე პოზიციის წყალობით მათი ყველა ცდა ჩაიფუშა.

კუბელი სპორტსმენები პუერტო-რიკოს დედაქალაქში სან-ხუანში ჩავიდნენ და იმდენი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რომ მათ გამოსვლებს ადგილობრივმა გაზეთებმა „სპორტული საფრა" უწოდეს („საფრა" — შაქრის ლერწმის მოსავლის აღება). ჩემპიონთა შორის იყვნენ მიგელინა კობიანი, რომელმაც ყველაზე სწრაფად გაირბინა 100 მეტრი, ცნობილი მძლეოსანი — ოლიმპიელი ენრიკე ფიგეროლა, ჰილდა რამირესი — შუბის მტყორცნელი, კლაუდიო სამოდევილიო — ძალოსანი, ძიუდოისტები — ლუის გასტონი და როლანდო სანჩესი, წყალბურთელები, მოფარიკავეები.

მაგრამ, აი, პრენსა ლატინას სააგენტოს დეპეშა, რომელიც თამაშების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა:

„ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების X თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ბოდიშს ითხოვს კუბის დელეგაციის წინაშე კუბელ სპორტსმენთა „გამუდმებული დევნის" გამო. იგი ქებით მოიხსენიებს მათი დელეგაციის ყველა წევრის ქცევას".

სახელდობრ, რისთვის იხდის ბოდიშს პრეზიდენტი, რომელსაც დიდი ცდა და მონდომება დასჭირდა, რომ კუბელი სპორტსმენებისთვის სან-ხუანში ჩასვლის უფლება მოეპოვებინა.

## „დარეკეთ ტელეფონით..."

თავიდან ასე დაიწყო: სასტუმროსთან, სადაც კუბელები დაბინავდნენ, გამუდმებით „მორიგეობდა" შეზარხოშებული „ყოჩაღი ბიჭების" ჯგუფი. მეთაურს ზედ თვალებზე ჩამოეფხატა ჭრელი ქუდი. იდგნენ, კუბელ სპორტსმენთა ავტობუსებს ქვებს უშენდნენ და ილანძღებოდნენ. რამდენიმე კაცი დააშავდა.

კუბელებს არც ასპარეზობის შემდეგ ასვენებდნენ. „ვიასი" აწყობდა გადაცემებს „საგანგებოდ კუბელებისთვის". ყოველი წინადადება ალსავსე იყო კუბის მთავრობის მიმართ საზიზღარი ცილისწამებით, რევოლუციის, კუბელი ხალხის, მათი წყობილების ლანძღვაგინებით.

უეცრად გადაცემას წყვეტდა ინსტრუქცია: „თუ გსურთ იცხოვროთ თავისუფალ სამყაროში, დარეკეთ როცა გნებავთ ტელეფონით 75-62-718. სენიორ კარლოს არნეროს შეუძლია გაილოს სასმელ-საჭმელი და 30 დღის განმავლობაში შეიფაროს 25 სპორტსმენი. სენიორ აროლდ როდრიგესი კი 15 სპორტსმენს მიიღებს".

## ბრაუნინგით შეიარაღებული თავდამსხმელები

შებინდების ხანი იყო. კუბელი სპორტსმენი ბაღში სეირნობდა. უცებ ვილასთან მანქანა გაჩერდა და ორი კაცი გადმოვიდა. მოსულებმა პირდაპირ სპორტსმენს მიაშურეს:

— აბა, ჩაჯექი, არადა, შენი საქმე წასულია! — უბრძანეს. ხელი სტაცეს და მანქანაში შეთრევა მოუნდომეს. ხმაურზე რამდენიმე კუბელი გამოვარდა და ამხანაგს მიეშველა. რაკი მიხვდნენ, რომ ვერას გახდებოდნენ, თავდამსხმელები ისევე სწრაფად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ. ერთ-ერთს შარვლის ჯიბიდან ბრაუნინგი გადმოუვარდა. ორი დღის შემდეგ მხეცურად დაესხნენ თავს კუბის ოლიმპიური კომიტეტის ხაზინადარს ლუის კარდენასს და ვიდრე სცემდნენ, პოლიციელებს... ხელით ეჭირათ ყაჩაღების მსხვერპლი.

## „თავშესაფარი" ავენიდა პონსეზე...

თამაშები დასასრულს უახლოვდებოდა. კუბელი სპორტსმენები თავისი ვილიდან ოლიმპიური აუზისკენ მიდიოდნენ, მხიარულობდნენ, გიტარას უკრავდნენ. მღეროდნენ მშობლიურ კუნძულზე, ქოქოსის პალმებზე, მშვენიერ ლაგუნებზე, მკერდგაშლილნი რომ ეგებებიან ზღვის ტალღებს, სწორედ ისე, როგორც კუბელი კაცი გაუხსნის გულს მეგობარს...

მოულოდნელად ავტობუსი ავენიდა პონსეზე შეჩერდა... კარი გაიღო.

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ. აქ არავინ რჩება? — გაისმა მძღოლის ხმა.

სპორტსმენებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს უზარმაზარი აბრა იმ სახლის სადარბაზო შესასვლელთან, რომლის წინაც იდგნენ: „ასილო" („თავშესაფარი").

ავტობუსიდან არც ერთი ქალიშვილი, არც ერთი ჭაბუკი არ გადმოსულა. ვერავინ მოხიბლა „თავისუფალი სამყაროს" აღთქმულმა სამოთხემ.

ერთი სიტყვით, დივერსანტების ყველა ცდა სრული კრახით დამთავრდა. ერთი ინციდენტიც კი ვერ გაჩარხეს. მაგრამ ვინ თაოსნობდა ამ პროვოკაციას?

ცნობილია, რომ ზემოხსენებული მანუელ არტიმეს „ელჩები" სან-ხუანში თამაშების დაწყებამდე ჩავიდნენ, ცნობილია, რომ ის ორი „საიდუმლო ტელეფონი", რომელთა ნომრებსაც ვერც ერთ ცნობარში ვერ ნახავთ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პუერტორიკოელი აგენტების განკარგულებაში იყო.

მორიგე პოლიციელი გამოტყდა: ბრაუნინგით შეიარაღებული ბანდიტები კუბიდან გაქცეული პოლიტიკური დამნაშავეები ყოფილან.

კარდენასმა იცნო ერთ-ერთი თავდამსხმელი, — ეს იყო ზემოხსენებული სამმართველოს აგენტი ენრიკე აგილარი, არტიმეს და მასთან დაახლოებულ პირთა მეგობარი.

ხოლო გადამცემი „ვიასი" ძალიან ჰგავს „რიასს" — ამერიკულ ჯაშუშურ რადიოსადგურს დასავლეთ ბერლინში. ერთი სიტყვით, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ბინძური ქსელი დახლართა, მაგრამ ამ ქსელში არავინ გაბმულა. თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა ღირსეულად მოიგერიეს პროვოკატორები.

ა. გურკოვი.

# საქმიანი რჩევა-დარიგებანი

რიცხვა საფეხბურთო ბრძოლათა ხმა ინგლისის სტადიონების მწვანე მინდვრებზე. მაგრამ 4 წელი, რომელიც გვაშორებს ჟიულ რიმეს თასის ახალ მატჩებს, არც ისე დიდი ვადაა. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე ახლა დაიწყო მზადება „ოქროს ქალღმერთთან" შესახვედრად. ასე, შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ კურსი აიღო თავისი გუნდის გაახალგაზრდავებაზე. ასოციაციის მდივანმა ფ. ლეჩმა წინადადებით მიმართა თავისი ქვეყნის სპეციალისტებს შეადგინონ ყველაზე უფრო პერსპექტიულ მოთამაშეთა სია, რომელთა ასაკი 18 წელს არ აღემატება. ფ. ლეჩს მიაჩნია, რომ უკვე წინამდებარე სეზონში უნდა დაიწყოს ამ ახალგაზრდა ფეხბურთელთა შეთამაშება. კლუბები, სადაც ეს ფეხბურთელები თამაშობენ, კატეგორიულ ბრძანებას მიიღებენ გაუშვან ისინი საწვრთნელ შეკრებებზე საჭიროების დროს.

ინგლისურ გაზეთ „სანდი მირორის" კორესპონდენტს ასოციაციის ხელმძღვანელმა შეატყობინა, რომ შეაგროვებენ 20-30 ასეთ ახალგაზრდა მოთამაშეს. „ჩვენ უნდა ჩავბეროთ ახალი სული გუნდს, რომელიც შვეიცარიის სპორტულ ღირსებას დაიცავს საერთაშორისო შეჯიბრებებში". — თქვა ფ. ლეჩმა.

სულ სხვაგვარად დაიწყეს მზადება ესპანელებმა. გადაყენებულია ნაკრების მწვრთნელი ხ. ვილიალონგა, ვინაიდან მისი გუნდი წარუმატებლად გამოვიდა ბრიტანეთში. მის ადგილზე დანიშნულია დომინგო ბალმანია. ფეხბურთის ფედერაციამ დ. ბალმანიას განუცხადა, რომ ახალი გუნდი დაკომპლექტებულ უნდა იქნას იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც ცხოვრობენ და თამაშობენ ესპანეთში. ეს კი ნიშნავს, რომ ესპანური ფეხბურთის ზოგი ვარსკვლავები, როგორც სუარესი, დელ სოლი და სხვანი, რომლებიც იტალიურ კლუბებში გამოდიან, აწი მსოფლიო ჩემპიონატში ველარ ითამაშებენ ესპანეთის ნაკრებში.

მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებმა — მექსიკელებმა გადაწყვიტეს გამოიყენონ ინგლისელთა გამოცდილება. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კ. ვილსონმა მექსიკაში გაგზავნა მაგნიტოფონზე ჩაწერილი ფირი, სადაც 8 საათის განმავლობაში იძლევა საჭირო რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს შეჯიბრება. ამავე დროს, ვილსონი მექსიკელებს აფრთხილებს, რომ ისინი „ნოვატორებად" უნდა იქცნენ.

რაა სადავო: ამ რჩევას ანგარიში უნდა გაეწიოს, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია ინგლისში მუდამ როდი იყო სათანადო სიმაღლეზე, განსაკუთრებით, ჟურნალისტთა მუშაობის პირობების მხრივ.

ვ. ჩუკსეევი.

ლონდონი.

## ფოტო თვალით



ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვი პირველად მასპინძლობდა მსოფლიოს უძლიერეს მოფარიკავეებს.

ს უ რ ა თ ზ ე (ზევით): მსოფლიოს უძლიერესი რაპირისტი ქალი ტ. სამუსენკო (სსრ კავშირი).

●

რიგაში, ახალ ტრასაზე გაიმართა სსრ კავშირის მოტოციკლისტთა ჩემპიონატის პირველი ეტაპი საგზატკეცილო-რკალურ რბოლაში.

ს უ რ ა თ ზ ე: ესტონელი ი. ფრეივალდი, რომელმაც გაიმარჯვა ქალთა შორის 125 კბ სმ მანქანებით რბოლაში.

ფოტო ვ. უნ და-სინისა და ვ. ნიკოლაევისა (საქინფ).



## ყურადღება! სპორტული საათი...

◆ ვარშავა, 23 აგვისტო. პოლონეთის საკურორტო ქალაქ პოლიანიცა-ზროიში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში XII ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი — 9 ქულა. ლიბერტს (გდრ) და ლენდიელს (უნგრეთი) 7,5-7,5 ქულა აქვთ.

◆ ლ ო ნ დ ო ნ ი, 23 აგვისტო. აქ მიმდინარეობს მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. 400 მეტრზე თარჯრბენში ამ სეზონში კონტინენტის საუკეთესო შედეგი აჩვენა იტალიელმა რ. ფრინიოლიმ — 49,8. 400 მეტრზე რბენაში ყველაზე სწრაფი იყო ამერიკელი ტ. სმითი — 45,3.

◆ პ ო ზ ნ ა ნ ი, 23 აგვისტო. საერთაშორისო მოტოკროსში „ოქროს ჩაფხუტი", რომელსაც ტრადიციულად ატარებს პოზნანის მოტოკლუბი „უნია", გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა ა. სერებრიაკოვმა.

## მსოფლიოს 9 რეკორდი

ლინკოლნი, 22 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა ჩემპიონატში 1500 მეტრზე ცურვაში ერთბაშად 17 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 19 წლის კალიფორნიელმა მ. ბარტონმა. მისი დროა 16.41,6. წინანდელი რეკორდსმენი ს. კრაუსი ამჯერად II იყო — 16.51,6. ამავე მანძილზე ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა 15 წლის პ. კარეტომ — 18.12,9. ლ. დევისის წინანდელმა მიღწევამ (18.21,7) მხოლოდ თვენახევარს იარსება.

წინდღით პირველად იქნა ნაჩვენები 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდის აღმნუსხველი დრო. ვაჟებში ეს გააკეთა გ. ბაკინჰემმა — 2.12,4, ხოლო ქალებში — 16 წლის კ. კოლბმა — 2.27,8.

4 დღის განმავლობაში ამერიკის ჩემპიონატზე დამყარდა მსოფლიოს 9 რეკორდი.

წყალში მხტომელთა შორის ოქროს მეორე მედალი მოიპოვა ბ. ქილბერტმა. ამჯერად იგი გამარჯვებული გამოვიდა კოშკიდან ხტომაში — 577,05 ქულა. ასპარეზობა მიმდინარეობდა მომავალი ოლიმპიადის პროგრამით: მონაწილენი 11 ნახტომს ასრულებდნენ.

## ფეხბურთის ახალი ამბები

● **იტალიის** გუნდმა „ლეკომ" შეიძინა „მილანის" ყოფილი თავდამსხმელი, არგენტინელი ანჯელილო და „ინტერნაციონალეს" ყოფილი სტოპერი მალატრაზი.

● **უელსის** ნაკრებისა და „ბლეკბერნ როვერზის" ახალგაზრდა ცენტრალური მცველი მ. ინგლენდი 95 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა".

● **ჩილის** ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ა. ფუიუ იყიდა საფრანგეთის „მარსელმა", რომელიც ახალ სეზონში I ლიგაში ითამაშებს.

● **იტალიური** პრესის ცნობით, მილანის „ინტერნაციონალეს" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს „კორინთიანსისა" და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელთან ვალტერ მაჩადო სილვასთან.

## საქმიანი განცხადებანი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„განთიადის" საცურაო აუზი [illegible]

ტელეფონები: 4-53-81, 4-53-82.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06055